



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

საქართველოს შრომის კოდექსი

2019 წლის 10 მაისს შრომის კოდექსში ძალაში შევიდა ცვლილებები, რომელთა საშუალებით, თანამშრომლის სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციად იქნა აღიარებული საკანონმდებლო დონეზე.

ამ მიზნით შრომის კოდექსის მე-2 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევა პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხყოფელ გარემოს.

ამ კანონის მიზნებისთვის სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არა-სიტყვიერი ფიზიკური ქცევა.“

მე-13 მუხლს - „შრომის შინაგანაწესს“ დაემატა 3¹ პუნქტი, რომლის მიხედვით:

„დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს დაწესებულების შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

2019 წლის 10 მაისს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველს, მოსარჩელის სახელით, მიენიჭა სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლებამოსილება, მისთვის დაკისრებული დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე ზედამხედველობის შესრულებისას, თუ ნებისმიერმა იურიდიულმა პირმა ან სხვა ორგანიზაციულმა წარმონაქმნმა მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს დისკრიმინაციას.

ახალი რედაქციის მიხედვით, დისკრიმინაციის საფუძვლით, პირს სასამართლოსთვის სარჩელის მიმართვის შესაძლებლობა აქვს 3 თვის მაგივრად 1 წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან პირს უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციად მიაჩნია.

პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სარჩელით მიმართოს სასამართლოს მაშინაც, თუ შრომითი ურთიერთობა, რომლის დროსაც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა, დასრულებულია.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №89/04, ბრძანება №90/04, ბრძანება №91/04

ბრძანებების შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და სესხის გამცემ სუბიექტს ეკრძალებათ გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად მიღებული ქონების, მათ მიერ აღებული ნებისმიერი სახის ვალდებულების უზრუნველყოფის საგნად გამოყენება.

მსგავსად, კომერციულ ბანკს ეკრძალებათ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტისა და საკრედიტო კავშირისთვის გაცემული სესხის უზრუნველყოფის საგნად გამოიყენოს ქონება, რომელიც მათ მიერ მიღებულია გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2019 წლის 29 მაისს საგადასახადო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის მიმდინარე წლის 1 ივნისიდან. ცვლილებები შეეხო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის შენიშვნას, კერძოდ,

აქციზის განაკვეთი მარცხენასაჭიანი ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში შემცირდა 60%-ით, ხოლო მარჯვენასაჭიანი ელექტრომობილანი მსუბუქი ავტომობილებისათვის გაიზარდა და შეადგენს აქციზის განაკვეთის 2000-ზე ნამრავლს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანების №1 დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მე-3 წინადადება - მეორე განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი ფასი შეადგენს ნულ ლარს - საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

არაკონსტიტუციური ნორმა ძალას დაკარგავს 2019 წლის 31 აგვისტოდან.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 286 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.